



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020134201840520

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 777/ს

15 / ივლისი / 2020 წ.

შპს „სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ზე (ს/ნ 202059217) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N00641) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მესამე ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის № 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2020 წლის 30 მაისის N865 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბრძანებ:

- დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს „სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ზე (ს/ნ 202059217) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N00641) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე;
- ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
- ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
- ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს „სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ს და განემარტოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ღია სხდომაზე გეპირი მოსმენა დაინიშნოს დამატებითი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

